სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში

ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2014

კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი – ქეთევან გურჩიანი, ილიას სახელმწიფო კვლევითი

კვლევითი ჯგუფის წევრები:

- თამარ ბრეგვაძე
- სიმონ ჯანაშია

დოქტორანტები:

- მარიამ დალაქიშვილმა
- ნინო რცეულიშვილმა
- ქეთევან ცოტნიაშვილმა

Tempus

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

ანგარიშის შესახებ

მოცემული ანგარიში მიმოიხილავს საქართველოში უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურის გამოწვევებს, ხარვეზებსა და ძლიერ მხარეებს. უმაღლესი განათლების და, კერძოდ, სადოქტორო საფეხურის ხარისხის საკითხი საქართველოში მნიშნელოვანი კრიტიკის საგანია, თუმცა დღემდე სათანადო სიღრმით არ არის შესწავლილი სადოქტორო საფეხურზე სწავლა-სწავლების რეალური პრაქტიკა, ისევე როგორც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით.

ანგარიშში მოცემული მიგნებები საქართველოში, სოციალური მეცნიერებების ფარგლებში სადოქტორო საფეხურის სტუდენტების, პროფესორების (რეცენზენტებისა და ხელმძღვანელების), ისევე როგორც იმ ადამიანების მსჯელობას ეყრდნობა, რომლებმაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოიპოვეს დოქტორის ხარისხი საქართველოში.

ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები - სიღმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები. დისკუსიაში ასამდე რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა თბილისისა და რეგიონების სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან. ჩატარდა 32 სიღრმისეული ინტერვიუ, 3 ფოკუს-ჯგუფი. ერთი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა პროფესორებთან, მეორე - დოქტორანტებთან, მესამე - კურსდამთავრებულებთან. ფოკუს-ჯგუფებში და ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, დოქტორანტებმა, ახალი სისტემით დაცულმა დოქტორებმა, რეცენზენტებმა, სადოქტორო პროგრამაში ჩართულმა ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა. განათლების მეცნიერებებში დაცული დისერტაციების ხარისხის შეახებ მსჯელობისთვის და სადოქტორო ნაშრომების ხარისხის სიღრმისეული შეფასებისთვის გამოყენებული იქნა კონტენტ-ანალიზი საერთაშორისო ანონიმური რეფერირების საშუალებით. რეგიონების უნივერსიტეტების შემთხვევაში სოციალური მეცნიერებების სფეროში მოქმედებს დოქტორანტურა მხოლოდ განათლების მიმართულებით, შესაბამისად, დისერტაციების შინაარსის კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი ამ მიმართულებაზე გაკეთდა და დისერტაციები განათლების მეცნიერებიდან შეირჩა.

სოციალურ მეცნიერებებში დოქტორანტურის მდგომარეობის შესასწავლად და მონაცემების ანალიზისთვის შევისწავლეთ უნივერსიტეტებში არსებული ზოგადი და ამ მიმართულებისთვის სპეციფიკური წესები, დებულებები, ასევე სახელმწიფოს დონეზე არსებული ის ბრძანებები და რეგულაციები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება სადოქტორო საფეხურს.

ძირითადი მიგნებები

სოციალური მეცნიერებები დოქტორანტურის საკითხის შესახებ მსჯელობის სტრუქტურირებისათვის სისტემური მოდელი გამოვიყენეთ. კერძოდ, დოქტორანტურის, როგორც სისტემის ფუნქციონირება, სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის ერთობლიობად წარმოვიდგინეთ: შენატანის, პროცესისა და ამონაგების.

შენატანში ვიგულისხმეთ ადამიანური და სხვა სახის რესურსები, რომლებსაც ეყრდნობა დოქტორანტურის საფეხურის ფუნქციონირება. ამონაგებში მოვიაზრეთ სადოქტორო საფეხურზე სწავლა-სწავლებისა და კვლევის შედეგები, ისევე როგორც სტუდენტების, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ახალდაცული დოქტორანტების კარიერული წინსვლის შესაძლებლობები. შუალედური კატეგორიაში კი გავაერთიანეთ ყველა ის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს შენატანის ამონაგებში ტრანსფორმაციას.

შენატანი (რესურსები)

კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა ჯგუფების (დოქტორანტების, ყოფილი დოქტორანტებისა და უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის) მსჯელობა ყველაზე მეტად შეთანხმებული და ერთგვაროვანი სწორედ რესურსებთან მიმართებაში აღმოჩნდა.

არგუმენტების სპეციფიკისა და თავისებურებების მიუხედავად, თითქმის ყველა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სადოქტორო საფეხურის ეფექტურად ფუნქიცონირებას ხელს უშლის ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების დეფიციტი.

ადამიანური რესურსები

სტუდენტისა და პროფესორის რაოდენობის ფარდობა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი მიიჩნევს, რომ სადოქტორო საფეხურის ხარისხზე ნეგატიური გავლენა აქვს სტუდენტებისა და პროფესორების ძალიან მაღალ ფარდობას. კერძოდ, რესპონდენტების აზრით, საქართველოში დოქტორანტების რაოდენობა გაცილებით აღემატება მათთან ეფექტური მუშაობის წარმართვისათვის საჭირო აკადემიური პერსონალის რაოდენობას.

> ფორმალურად არსებობს შეზღუდვა, რომ ხუთზე მეტი დოქტორანტი არ უნდა ჰყავდეს პროფესორს, მაგრამ ეს არ სრულდება, რეალურად 18-20 ჰყავთ, ხარისხიც შესაბამისია.
>
> პროფესორი

უნივერსიტეტის პროფესორის ამ რეპლიკას მეორე საჯარო უნივერსიტეტის პროფესორიც ეხმიანება:

ყველაზე ბევრი რაც ვიცი, ერთდროულად მოქმედი 35 დოქტორანტი ჰყავდა ერთს. არანაირი მუშაობა არ მიდის ამ შემთხვევაში, ის ვისაც დოქტორანტთან რეალურად უმუშავია, ხუთი დოქტორანტიც ძალიან ბევრია.

პროფესორი

დოქტორანტები პრობლემას საკუთარი გადმოსახედიდან აფასებენ და თვლიან, რომ ცალკეული მიმართულებებით ხელმძღვანელის პოვნა რთულ ან დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენს.

დოქტორანტურის დონეს სჭირდება პროფესორი, პროფესორი არის სულ ორი ჩემს მიმართულებაზე და ორივე ძალიან დატვირთულია სწავლებით. ძალიან გამიჭირდა ხელმძღვანელის მოძებნა.

დოქტორანტი

დოქტორანტის ამ მსჯელობაში მკაფიოდ ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის ხელმისაწვომობის მხრივ სურათი განსხვავებულია მიმართულებების მიხედვით.

აკადმიური რესურსისა და დოქტორანტების რაოდენობას შორის ამ შეუსაბამობის სისტემურ მიზეზებსა და შედეგებზე მოგვიანებით გვექნება საუბარი, თუმცა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების აზრით, ამ საკითხს ურთიერთდაკავშირებულ პრობლემათა ჯაჭვში საკვანძო ადგილი უჭირავს, ძალიან თვალსაჩინო ნეგატიური ეფექტი აქვს შედეგების ხარისხზე და სისტემურ ჩარევას საჭიროებს.

პრაქტიკულად მე მიწევს ყველაფრის ხელმძღვანელობა სამაგისტრო და სადოქტორო დონეზეც, იმ საკითხებზეც რასაც მე ღრმად არ ვიცნობ. ზოგჯერ არის ხოლმე, პროფესორი ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტს მხოლოდ ფორმალურად, რადგან მან არ იცის საკითხი, რასაც დოქტორანტი იკვლევს. მან შეიძლება წაიკითხოს ნაშრომი, რჩევაც მისცეს, მაგრამ ეს რჩევა რელევანტური ვერ იქნება. ადმინისტრაციამ ჩვენ გამოგვიგზავნა კითხვარი, სადაც უნდა დაგვეწერა, ვინ რა სფეროზე ვმუშაობთ და ეს კარგია. ამის შემდეგ მომავალი დოქტორანტები შეხედავენ ინტერესის სფეროებს და ამის მიხედვით იკონტაქტებენ ჩვენთან.

პროფესორი

პროფესორის ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ ბოლო დროს გატარებულ ცვლილებებამდე დოქტორანტებისა და პროფესორების დაკავშირება ცალკეულ შემთხვევებში მექანიკურად ხდებოდა, პროფესორისა და სტუდენტის კვლევითი ინტერესების თანხვედრის გათვალისწინების გარეშე.

ხელმძღვანელებსაც გარკვეული პასუხი უნდა მოგვეთხოვოს, რადგან ჩვენც ყველას ვეუბნებით თანხმობას, რომ ვხედავთ რომ ვერ პოულობს ხელმძღვანელს, და მერე გროვდება ეს ინერტული მასა. სირცხვილიც კი არის რომ გყავს ბევრი დოქტორანტი და ხედავ რომ ვერც ერთმა ვერ დაიცვა.

პროფესორი

სტუდენტებისა და პროფესორების კომპეტენციები

სტუდენტებისა და პროფესორების რაციოს საკითხი, ისევე როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელის კომპეტენციების საკითხი გადაჯაჭვულია სისტემურ პრობლემასთან, როდესაც ნათელი და გაზიარებული არ არის აკადემიური სივრცის შიგნით იმ კრიტერიუმების შემოღება, რომელიც ხელმძღვანელობის უფლებას განსაზღვრავს. რაოდენობის შეზღუდვა, როგორც ჩანს, არ შეასრულებს გადამწყვეტ როლს. კვლევის დროს რაოდენობრივი მონაცემების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევებშიც და იმ უნივერსიტეტებშიც, სადაც დოქტორანტების რაოდენობა საშუალოდ 5-ს არ აღემატებოდა, პროფესორებისა და დოქტორანტების განცდა "მოუცლელობის", "დროის დეფიციტის" თაობაზე იგივე იყო, რაც დიდი რიცხვის შემთხვევაში. თავად პროფესორები ამას ხსნიან სწავლებაში დატვირთვით და სხვადასხვა საქმიანობით, რომლებშიც ისინი პარალელურად არიან ჩართულები. ასევე კვლევითი პროექტების არარსებობით, რომელიც მათი საქმიანობისა და შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იქნებოდა.

რაციოს პრობლემა მოუქნელი რეგულაციებით ზოგგან ხელოვნურადაა შექმნილი. ზოგიერთი უნივერსიტეტი სამეცნიერო ხელმძღვანელობის უფლებას მხოლოდ სრულ პროფესორებს აძლევს. მხოლოდ სტატუსზე მიბმული ამგვარი შეზღუდვა კიდევ უფრო ამძაფრებს როგორც რაოდენობის ისე კომპეტენციების პრობლემას. აკადემიური სივრცის შიგნით კი გაუმჭვირვალობის ეჭვს აჩენს:

ერთ-ერთი პროფესორის ინტერვიუდან: *დოქტორანტი არ მყავს, მხოლოდ სრულ პროფესორს ჰყავს. თვითონ აწყობდათ და ასე შემოიღეს. არ მომწონს ჩვენი ხარისხი. მთავარია გამოცდები ჩააბარო. იქ მაქინაციები ხდება. არ აგყავს ის, ვიზეც ფიქრობ, რომ აღზრდიდი. არ გაძლევენ უფლებას. მხოლოდ თავისთვის აჰყავთ.*

ზედაპირული დაკვირვებით, ყველაზე მეტი დოქტორანტი აკადემიურად და ადმინისტრაციულად ყველაზე უფრო დატვირთულ პროფესორებს ჰყავთ, რაც მათ დატვირთვას კიდევ უფრო ზრდის და სავარაუდოდ, ხარისხზეც მოქმედებს. ეს ასევე აჩენს გამჭვირვალობის ეჭვს იმ აკადემიურ პერსონალში, რომელიც თავს გარიყულად გრძნობს და დოქტორანტის ყოლის უფლებას ძალაუფლებას უკავშირებს:

(ცვლილებების შეთავაზებისას) *აბუჩად გიგდებენ, არ აინტერესებთ. კომფორტის ზონის დარღვევა არ უნდათ. 70% ისევ ძველი აზროვნებაა, რასაც წერენ, ისევ კოპი-პეისტია. არაფერს ახალს არ ქმნიან. ასაკოვანი პროფესორები არიან. მხოლოდ სკამს ებღაუჭებიან...საათები რომ მისცენ, რამე უნდა მიუტანოს.*

ჩართულობის შესაძლებლობის სხვადასხვა ფორმის მიუხედავად, აკადემიური და კვლევითი პერსონალის დიდი ნაწილი თავს არ მოიაზრებს ცვლილებების ავტორად.

მოკვლეული ინფორმაციიდან ჩანს, რომ რაოდენობის პრობლემასთან ერთად, კვლევის მონაწილეები დოქტორანტების, როგორც რესურსის, ხარისხის, ე.წ. „ინერტული მასის“ საკითხზეც საუბრობენ.

> ფაკულტეტზე ახლა უკვე პოლიტიკურ მეცნიერებას ყავს ყველაზე მეტი სტუდენტი 44, მაგრამ ამ 44-ის შემთხვევაში, საერთო ჯამში ხუთს, მაქსიმუმ შვიდს შეუძლია წარადგინოს ნაშრომი და იქაც რაღაც კითხვები შეიძლება დადგეს.
>
> პროფესორი

განსაკუთრებით მწვავე პრობლემას, პროფესორების აზრით, წარმოადგენს ის, რომ დოქტორანტებს ნაკლებად აქვთ ჩამოყალიბებული კვლევითი ინტერესები, ისევე როგორც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავად კვლევის პროცესის სპეციფიკაზე.

> ადამიანები რომლებსაც კვლევის ინტერესები აქვთ, იშვიათად თუ გამოჩნდებიან. . . . რომლებიც ფიქრობენ, რომ ის, რაც მათი აირჩიეს კვლევის ობიექტად, მათი ცხოვრების ნაწილია და მეცნიერის ცხოვრება განსხვავდება ბიზნესმენის ცხოვრებისგან. ეს არის პრობლემა. თორემ, კაცმა რომ თქვას, პრობლემა არც სემინარებშია და არც პროფესორებში, პრობლემა არის დოქტორანტების შემადგენლობაში.
>
> პროფესორი

კვლევითი ინტერესების ბუნდოვანების ფონზე, პროფესორების აზრით, ასევე დგას კვლევის კომპეტენციის პრობლემაც. კვლევის კომპეტენცია სტუდენტს ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე თანმიმდევრულად უნდა უვითარდებოდეს.

> კვლევითი უნარების დონე საკმაოდ დიდი პრობლემაა, არა მხოლოდ დოქტორანტების დონეზე. პრობლემა იწყება სკოლიდან, ეს პრობლემა ბაკალავრების დონეზე აშკარაა, მაგისტრატურაზეც, ასევე, ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან აქ იკვეთება მომავალი მეცნიერი. ამ უნარებს ნაკლებად ფლობენ. პრობლემა არის სწავლების სისტემაში რაც გვაქვს ქვეყანაში, რომელიც არ არის კვლევაზე ორიენტირებული. არც სკოლაში, არც უნივერსიტეტში. მცირე მოცულობის კვლევებზეც კი არ არის ორიენტაცია.
>
> პროფესორი

საინტერესოა, რომ დოქტორანტები ამ მხრივ ნაკლებად თვითკრიტიკულები არიან და, ძირითადად, კრიტიკულ დამოკიდებულებას პროფესორების მიმართ ავლენენ.

> ხელმძღვანელობას რამდენად გიწევს ყველა, ეს არის უდიდესი პრობლემა. რამდენ თქვენთაგანს გინახავთ თქვენს გარშემო? მე არ მყავს შესაბამისი ხელმძღვანელი, რომლისგანაც შემიძლია კომპეტენტური პასუხის მიღება, რა გავაკეთო, როგორ, რა თანმიმდევრობით.
>
> დოქტორანტი

> რაც ეს რუსთაველის სტიპენდიები გაჩნდა, ერთი სული მაქვს, წავიდე, შარშან მივიღე. წავალ (ასახელებს ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას), იქ ამ თემაზე მუშაობენ, იკვლევენ, მეც

> რაღაცებს გავიგებ. ჩემ ხელმძღვანელს ამ თემაზე არაფერი აქვს დაწერილი და ვერაფერს მეუბნება.
> დოქტორანტი

პროფესორების კომპეტენტურობის საკითხი, აგრეთვე, აქტუალურად მიაჩნიათ თავად პროფესორებსაც ცალკეულ საჯარო უნივერსიტეტში:

> როდესაც ვსაუბრობთ დოქტორანტებზე, ბევრ მოთხოვნას ვუყენებთ თვითონ დოქტორანტს, პირობის სახით, და მეორე კიდევ რასაც ჩვენ ვასწავლით, ყოველ შემთხვევაში ხელმძღვანელობის გაწევის თვალსაზრისით, ისიც არ არის შესაბამის დონეზე.
> პროფესორი

> ზოგიერთ შემთხვევაში, დოქტორანტები ყვებიან, რომ მისი ინტერესის მიმართულებით მის სასურველ უნივერსიტეტში არ არსებობდა პროფესორი, რომელიც შეძლებდა ინტელექტუალურად მისი თემის ირგვლივ ხელმძღვანელობას. მიუხედავად ამისა, მისთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ ხელმძღვანელი ყოლოდა. სხვა მიმართულების პროფესორი დათანხმდა, რომ კონსულტირებას გაუწევდა ზოგად საკითხებში. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში დაემთხვა დოქტორანტის, მისი ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სურვილი, კონკრეტული მიმართულება გაეძლიერებინათ უნივერსიტეტში ახალგაზრდა პროფესიონალის მათთან დოქტორანტურაში შემოყვანით და შემდგომში მისი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირების გზით.

დოქტორანტურაზე მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორები სტუდენტებისათვის

მოტივაციის მხრივ დოქტორანტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა შესაძლებელია ძირითადი ჯგუფების გამოყოფა. საუკეთესო მოდელს წარმოადგენს სიტუაცია, როდესაც მოტივირებული დოქტორანტები, რომლებიც არსებულ კვლევით პროექტში/ჯგუფში ხვდებიან, უზრუნველყოფილი არიან აკადემიურად და ფინანსურად, გამონაკლისია, მაგრამ ის შემთხვევაა, რომელსაც იდეალურდა ასახელებენ.

მეორე ჯგუფი ხასიათდება მოტივაციის და გარემოებების შეუსაბამობით: დოქტორანტს სურს, წარმატებული მკვლევარი იყოს, მაგრამ გარემო პირობები ხელს არ უწყობს: მან უნდა იმუშაოს, რომ საკუთარი სწავლა დააფინანსოს, ან უკეთეს შემთხვევაში, თუ სწავლა უფასოა, ის უნდა ჩაერთოს სწავლებაში და იმუშაოს არსებობისთვის. ამგვარ პრიობებში დოქტორანტების და პროფესორების უკმაყოფლების ხარისხი მაღალია.

დოქტორანტურაში სწავლა-სწავლების ხარისხზე მოქმედ ერთ-რთ მნიშვნელოვან ფაქტორად დოქტორანტები და აკადემიური პერსონალი ამ საფეხურზე ჩაბარების არარელევანტურ მოტივაციას ასახელებენ.

ერთ-ერთ მიზანს, რომელზეც დოქტორანტების ფოკუს ჯგუფზე იყო საუბარი, <u>სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდება</u> წარმოადგენს.

> აბარებენ ჯარისთვის. აი ჩემი ჯგუფიდან, მაგალითად, მინიმუმ 10 კაცი ვიცი, ვინც იმიტომ ჩააბარა, რომ ჯარში არ წასულიყო.

დოქტორანტი

ამ მოსაზრებას დისკუსიებში მონაწილე პროფესორებიც ადასტურებენ. ზოგადად, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროფესორები მიიჩნევენ, რომ დოქტორანტების მოტივაციას ხშირად „ყოფითი ინტერესები განსაზღვრავს და ეს არ არის მეცნიერებასთან დაკავშირებული“.

ყოფილი და მოქმედი დოქტორანტების ნაწილი განმარტავს, რომ „დოქტორანტურაში სწავლა უკვე ერთგვარი სტატუსია“, რომელიც „ზრდის უკეთესი სამსახურის ან უკეთესი ანაზღაურების მოპოვების შანსს“, თუმცა მომავალი სამსახური მათ აკადემიის გარეთ წარმოუდგენიათ.

დოქტორანტების მეორე ნაწილის მოტივაციას უნივერსიტეტში სწავლების პერსპექტივა განაპირობებს, მაგრამ კვლევაში ჩართული დოქტორანტების უმეტესობა მომავლის გეგმებს კვლევით საქმიანობას არ უკავშირებს. შესაბამისად, უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალი, კვლევითი ბაზები, კვლევითი ინტერესები ჩვენი მონაცემების თანახმად, მხოლოდ ცალკეულ, იშვიათ შემთხვევაში წარმოადგენდა სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მიზეზს.

პროფესორების დიდი ნაწილის აზრით, მომავალ და უკვე მოქმედ დოქტორანტებსაც ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სამეცნიერო საქმიანობის სპეციფიკის შესახებ.

> მოკლედ მე გეტყოდით ასეთ რაღაცას, პრობლემა გახლავთ ის რომ, დოქტორანტი რომელმაც ჩააბარა სადოქტოროზე არ აქვს არანაირი კვლევითი ინტერესი. მე ამას ვუწოდებდი საბჭოთა სინდრომს. მოდის დოქტორანტი, მას არ აქვს არც კვლევის სფერო არჩეული, არაფერი არ იცის, რა უნდა იკვლიოს, ეს არის საბჭოთა ადამიანი, ინერციით აბარებს და მერე შუა სემესტრში გეკითხება რა უნდა ვიკვლიო მე. მას არ აქვს, ის რაც არის ვნება, Passion.
>
> პროფესორი

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ იმ დოქტორანტების შემთხვევაში, რომელთა მოტივაცია სტატუსის ამაღლება იყო და დისერტაციის დაცვა კარიერის გზაზე ერთ-ერთი ნაბიჯი, კმაყოფილების დონე მაღალია, თუ მათ შესაბამის უნივერსიტეტს მიაგნეს, რომელიც მათ რთულ ბარიერებს არ უსახავს.

> იმდენად დაკავებულები არიან, ხშირად ვერ დადიან. ადმინისტრაციული თანამდებობები აქვთ, უძილო ღამეებს კვლევაში არ ატარებენ. პარასკევობით ჩამოდიან ხოლმე. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ ყველაფერი გაიოლებულია. დაცვა უნდათ, მოწადინებულები არიან ბოლოში, მაგრამ ყველაფერს მე ხომ ვერ დავუწერ
>
> (პროფესორი)

დოქტორანტურაზე მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორები უმაღლესი სასწავლებლისა და აკადემიური პერსონალისათვის

საუბრისას რესპონდენტები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ „დოქტორანტების არარელევანტური მოტივაცია მედლის მხოლოდ ერთი მხარეა“. მეორე მნიშვნელოვან ასპექტს თავად

უნივერსიტეტის არარელევანტური მოტივაცია წარმოადგენს, რომელიც, ასევე, უმეტეს შემთხვევებში, არ უკავშირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ცალკეული პროფესორის კვლევითი პოტენციალის გაძლიერების პერსპექტივას.

კერძოდ, ამ ასპექტის განხილვისას რესპონდენტების მოსაზრებები ორ ძირითად კატეგორიად დაჯგუფდა: მათი აზრით, უნივერსიტეტის მიზანს წარმოადგენს ა)სასწავლო კომპონენტისათვის ადამიანური რესურსის მოზიდვა და ბ)დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია.

სასწავლო კომპონენტში დოქტორანტების ჩართვა, ერთის მხრივ, უნივერსიტეტისათვის ფინანსური რესურსების დაზოგვის შესაძლებლობაა, რადგან დოქტორანტი სწავლებას სადოქტორო საფეხურის ვალდებულებების ფარგლებში ახორციელებს და ამისათვის ანაზღაურებას არ იღებს.

> დოქტორანტები ხშირად კითხულობენ კურსებს, რომლებიც არ არის კავშირში სპეციალობასთან.
>
> დოქტორანტი

ეს ამონარიდი ირიბად მიგვანიშნებს, რომ უნივერსიტეტი ცალკეულ შემთხვევებში ცდილობს შედარებით ნაკლები დანახარჯით შეავსოს ადამიანური რესურსის დეფიციტი.

მეორეს მხრივ, ეს სტრატეგია უნივერსიტეტისათვის სასწავლო კომპონენტში ჩართული პერსონალის რაოდენობისა და მრავალფეროვნების გაზრდის შესაძლებლობაა.

> ამგვარად სასწავლო პროცესში ბევრი გამოცდილი და პოპულარული ადამიანი ჩაერთო, რომელსაც ჯერ არ აქვს აკადემიური ხარისხი. ცალკეული მიმართულებებით აკადემიურ ხარისხთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება, რაც სასწავლო პროგრამების განახლების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, სწავლების პროცეში მოხდა იმ ადამიანების მოზიდვაც, რომლებმაც მაგისტრის ხარისხი საზღვარგარეთ, პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოიპოვეს.
>
> პროფესორი
>
> ამ მიმართულებაზე დიდი ხანია ვკითხულობ, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე, კურიკულუმში ძალიან კრიტიკულ საგანს, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, მე ვკითხულობ და მნიშვნელოვანია მიმართულებისთვის, რომ ეს საგანი იკითხებოდეს...
>
> დოქტორანტი

რესპონდენტები იმაზეც საუბრობენ, რომ დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გადასახადი უნივერსიტეტებისთვის დამატებითი შემოსავალია, ამიტომ იმ უნივერსიტეტებში, სადაც სწავლა ფასიანია, სადოქტორო საფეხური უნივერსიტეტისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და მისი ოდენობა დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტების რაოდენობის პროპორციულია.

დისკუსიის დროს რესპონდენტები მოთხოვნის განმაპირობებელ სხვა სისტემურ ფაქტორებზეც მსჯელობდნენ.

> რადგან დოქტორნატურის საფეხურზე კვლევა ფაქტიურად არ მიმდინარეობს და, პრინციპში, არც შედეგების შეფასება ხდება დიდად, ხოლო პროფესორს ვალდებულებაში უწერია ბუნდოვნად, რომ უნდა იკვლიოს, ამ მიმართულებით მთავარ და თვალსაჩინო ინდიკატორს დოქტორანტების რაოდენობა წარმოადგენს.
> პროფესორი

ცალკეული პროფესორების აზრით, კვლევითი პროცესის მონიტორინგის მკაფიო კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, ამ მოთხოვნამ სისტემაში დოქტორანტების უხარისხო ნაკადის შემოდინება გამოიწვია.

> დასაწყისში ჩვენი პროფესურა სრული და ასოცირებული 2007-ში თუ არ ვცდები, იყვნენ იმ პერსპექტივის წინაშე, რომ აეყვანათ დოქტორანტები. ჩვენი საფაკულტეტო დებულებით ხუთ დოქტორანტზე მეტს არ შეუძლია პროფესორს რომ უხელმძღვანელოს და ეს ნამდვილად რეალობაა. ავტომატურად, ანუ დასაწყისში ბევრი აიყვანეს და მერე ამან ჩაკეტა შესაძლებლობა, რომ ახალი პერსპექტიული კადრი მიგვეღო.
> პროფესორი

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებმა საკითხზე მსჯელობისას რამდენიმე საერთო, გამჭოლ პრობლემას გაუსვეს ხაზი, დისკუსიიდან ისიც მკაფიოდ გამოჩნდა, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება უნივერსიტეტების მიხედვით. განსხვავებული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სადოქტორო საფეხურზე მიღებისა და სწავლის პირობები და მოთხოვნები, ისევე როგორც სწავლის საფასური, განსხვავდება უნივერსიტეტების მიხედვით.

ცალკეულ შემთხვევებში ეს პირობები დოქტორანტებისათვის გამარტივებულია, რაც ართულებს წარუმატებელი დოქტორანტების სისტემიდან გადინებას (დოქტორანტები ადვილად ირიცხებიან ან მარტივად გადადიან ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში) და, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება დოქტორანტურის ხარისხის საერთო მაჩვენებლებზე ქვეყანაში, რადგან უმფრო მკაცრი მოთხოვნების მქონე უნივერსიტეტებიდან წარუმატებელი დოქტორანტები უფრო მარტივი მოთხოვნების მქონე უნივერსიტეტბში გადადიან.

> რაოდენობრივად მცირე კვოტის, [მცირე] მისაღები კონტიგენტის პირობებში, ხშირად, მაგალითად, ჩვენი დოქტორანტები, ყოველ შემთხვევაში მაგისტრანტები, ვისაც სურვილი აქვს ჩაბარების, სხვა უნივერსიტეტში მიდიან.
> პროფესორი

> შეიძლება მეორე წუთას სტუდენტი შემომიბრუნდეს და მიმითითოს, ჩვენ შემთხვევაში რატომ დადგა ასეთი მკაცრი პირობები, როცა სხვა შემთხვევაში არ არის? სხვა შემთხვევაში კარი გამიღეს და ღიმილით მიმიღეს, როდემდე გაგრძელდება ეს

ვნახოთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს ჩარჩოები, პროცედურები, არც შემომთავაზებელს ამ სერვისის, არც ჩემს სტუდენტებს ურთიერთვალდებულებები არ გააჩნიათ, პროცედურები არ არის დაწერილი და ეს ყველაფერი იმდენად ფორმალურია, რომ განხორციელების ეტაპზე პროდუქტი არ ჩანს.

პროფესორი

უნივერსიტეტებს შორის განსხვავება განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს დაცული დისერტაციების რაოდენობაში. გვაქვს შემთხვევა, როდესაც პროფესორების რაოდენობა ძალიან დაბალია, ამავე დროს ძალიან მაღალია იმ დოქტორანტების რაოდენობა, რომლებმაც დისერტაცია დაიცვეს ბოლო ხუთი წლის მანძილზე. ასე მაგალითად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯამურად 9 პროფესორს (2 სრულ პროფესორსა და 7 ასოცირებულს) ბოლო 5 წლის მანძილზე ჰყავდა და ჰყავს ჯამურად 75-ზე მეტი დოქტორანტი (შემოდგომის მონაცემებით 79), რომელთაგან 45-მა ამ 5 წლის განმავლობაში დაიცვა. თუ შევადარებთ ორი გაცილებით უფრო დიდი სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემებს ერთ კონკრეტულ სფეროში, განათლების მეცნიერებებში: ერთგან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) 6, ხოლო მეორეგან (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) – 7 შეძლო დაცვა.

ფინანსური რესურსები

ფინანსური რესურსების ნაკლებობა ის საკითხია, რომელზეც რესპონდენტთა ყველა კატეგორია ერთხმად საუბრობს. დოქტორანტურის დაფინანსების კუთხით, რესპონდენტთა თვალთახედვით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა სადოქტორო საფეხურის ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა კვლავაც უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება უმაღლესი განათლების სისტემაში.

ეხლა მეორე წელიწადია რაც წამოვიდა დოქტორანტურისათვის გრანტები, შარშან იყო და წელს გამოცხადდა და 2015 წელი, ვისაც აქვს მოქმედი სტატუსი ორი სემესტრი მაინც, იქიდან დაწყებული ვიდრე ექვსი სემესტრიც კი შეიძლება, მიეცეს გრანტი დოქტორანტს.

დოქტორანტი

ამ ამონარიდში რესპონდენტი დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობების გაზრდაზე საუბრობს, თუმცა მეორე სტუდენტი მიიჩნევს, რომ სადოქტორო საფეხურზე სტუდენტების დიდი ნაწილისათვის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს უშუალოდ საველე სამუშაოებისათვის თანხების მოძიება.

რომ ამბობენ, კვლევები არ არის, ესეც ფინანებთან არის დაკავშირებული. არ არის გრანტები. გრანტებს თუ იძლევიან, იძლევიან ისევ უცხოური უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამებისათვის, ახლა არასწორად არ გამიგოთ, ძალიან კარგია, რომ შანსი გვეძლევა, რომ იქ წავიდეთ და ვისწავლოთ... მაგრამ იქ ძირითადად ვმუშაობთ ბიბლიოთეკებში, ვეცნობით ძირითადად თეორიას, და აი პრაქტიკულად რომ იმუშაო,

> აქ, შენს ქვეყანაში უნდა იყოს საშუალება, რომ კვლევა ჩაატარო მაღალი ხარისხის. არ არის ფინანსები, ეს არის პრობლემა.
>
> დოქტორანტი

პროფესორები ამ საკითხს ოდნავ სხვა ჭრილში წარმოადგენენ და, ზოგადად, საუნივერსიტეტო სივრცეში კვლევის განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების (გრანტების, სხვა ტიპის გრძელვადიანი დაფინანსების) ნაკლებობაზე საუბრობენ.

> არცერთ ექსპერიმენტულ კვლევას ჩვენ არ ვაკეთებთ მარტივი მიზეზის გამო, იმიტომ რომ არანაირი რესურსი არ არის. ეს არის დოქტორანტისათვის შესაძლებლობა ბუნებრივი ველის პირობებში მისთვის საინტერესო საკითხები იკვლიოს. კვლევებში ჩასართავად ძირითადად არ არის თანხა, გრანტები. მხოლოდ რიგ შემთხვევაში გვყავს ჩვენ დოქტორანტი, რომელიც მუშაობს ხელმძღვანელთან, ჩართულია კვლევით პროექტში და მასთან ერთად აქვს გამოცდილება და ნამდვილად ეწევა კვლევით საქმიანობას.
>
> პროფესორი

ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობის ან არარსებობის პირობებში სტუდენტი იძულებულია, რომ სრულ განაკვეთზე იმუშაოს, რაც უარყოფითად აისახება სწავლის შედეგებზე.

> დოქტორანტი სრულად რომ იყოს სწავლისადმი მოტივირებული და თავისი აკადემიური პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენოს, ის არ უნდა იყოს დაკავებული სხვა full-time სამსახურში. მას უნდა ჰქოდენს სტიპენდია. და ამხელა უნივერსიტეტებს, რომლებსაც სახელმწიფოდან აქვთ დაფინანსება, რომლებსაც უზარმაზარი ბიუჯეტი აქვთ, ისე უნდა დაგეგმოს ბიუჯეტი, რომ წელიწადში 5 დოქტორანტს რომ უშვებს, ის უზრუნველყოს სტიპენდიით.
>
> ყოფილი დოქტორანტი

ამ მოსაზრებას აკადემიური პერსონალიც ეთანხმება :

> არ არიან მოტივირებულები, არა, უფრო სწორად მოტივირებულები არიან, მაგრამ მათი ძირითადი პრობლემა ის არის, რომ დოქტორანტურა ხდება არა მათი ძირითადი საქმე, არამედ მათ უწევთ სხვა შემოსავლის მოძიება იმისათვის რომ რაც აინტერესებთ ის გააკეთონ, ანუ დოქტორანტურა არ არის „სრულ განაკვეთზე მუშაობა“. აქედან გამომდინარე ამ ათკაციანი ჯგუფიდან რეალურად მოქმედი დოქტორანტი არის სულ ერთი, ორი, სამი, ოთხი ადამიანი.
>
> პროფესორი

პროფესორები და სტუდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ დოქტორანტისათვის შემოსავლის დამატებით წყაროს ხშირად თავად უნივერსიტეტში, მოწვეული ლექტორის სტატუსით ლექციების კითხვა წარმოადგენს.

> ორი ყველაზე კარგი ჩემთან მოწვეული მყავს. დატვირთულია ამ სფეროში მუშაობს, სწავლებაში და სადოქტოროში, მაგრამ აი ვერ წერს. ვერ წერს, რადგან უნდა იმუშაოს

> აქაც და სხვაგანაც, რაღაც ბევრი საათი ჩაატაროს იმიტომ, რომ რაღაც ხელფასი მოაგროვოს. აი, გული გისკდება ხანდახან - ვინც არის, ის ვერ ახერხებს დაცვას. თავის თავსაც არ აძლევს იმის ნებას, რომ მარტივად წარსდგეს.
>
> პროფესორი

უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ დასაქმებული სტუდენტები, თავისმხრივ, აღნიშნავენ, რომ მათთვის სწავლისა და სამუშაოს შეთავსება კიდევ უფრო რთულია, უნივერსიტეტის ფარგლებში დასაქმებულ სტუდენტებთან შედარებით.

> ის დოქტორანტები რომლებიც არ მუშაობენ, მათთვის ეს უფრო მარტივია, ან რომლებიც მუშაობენ უნივერსიტეტის კედლებში, იმიტომ რომ დროის გადანაწილება მათი ცოტა სხვა არის, მაინც აკადემიურ ცხოვრებაშია ჩართული. ეხლა ვისაც აქვს გამოცდილება მუშაობის, ეგ სიამოვნება მე მაქვს, მე ვიცი რაც არის 9-დან 10-საათამდე სამსახურში ყოფნა და თან იცი, რომ გაქვს ნაშრომი დასაწერი და დრო არ გაქვს.
>
> დოქტორანტი

ტექნიკური რესურსები

სასწავლო კურსები

კვლევაში ჩართული რესპონდენტების აზრით, დოქტორანტურის საფეხურზე ერთ-ერთ პრობლემას რელევანტური სასწავლო კურსების დეფიციტი წარმოადგენს.

ეს პრობლემა სხვადასხვა სიმწვავით დგას სხვადასხვა მიმართულებებით სხვადასხვა უნივერსიტეტში:

> რაც შეეხება რესურსებს. არ ვიცი, რამდენად სწორია, მაგრამ მე უფრო უკმაყოფილო ვარ სასწავლო კურსებით. მესამე წელია, რაც ვსწავლობ, და ვერ მოვახერხე 60 კრედიტის დაგროვება, იმიტომ, რომ არის ისეთი საგნები, რომლებიც არ მჭირდება, რომ ავირჩიო. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ისტორია... სულ ასეთი საგნებია. განათლების კუთხით ერთადერთი საგანი იყო, რომლებიც სილაბუსებს, პროგრამებს ეხებოდა... და კიდევ ორი კურსი ავირჩიე, ერთი იყო SPSS, რომელიც კიდევ კვლევაში რაღაცნაირად გამომადგება. მე ვთვლი, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ჩვენთვის.
>
> დოქტორანტი

დოქტორანტები, აგრეთვე, საუბრობენ ცალკეული გამჭოლი (ყველსათვის სავალდებულო) კურსების მიმართულების სპეციფიკაზე მორგების აუცილებლობაზე.

> სოციალურ მეცნიერებებში სტატისტიკა გარკვეული კუთხით გვჭირდება, და ჩვენთან ძირითადად ისწავლება სტატისტიკა, როგორც ასეთი, ანუ მორგებული სოციალურ მეცნიერებებზე არ არის. იმიტომ, რომ არ არიან ლექტორები, ვინც სხვანაირად ასწავლიან.
>
> დოქტორანტი

სასწავლო კურსების ნაკლებობის პრობლემას არა მხოლოდ დოქტორანტები, არამედ პროფესორებიც აღნიშნავენ.

> ჩვენი დოქტორანტები ძირითადად ორიენტირებული არიან სასწავლო კრედიტების შეგროვებაზე, რაც არის საკმაოდ რთული პრობლემა. ამ სამოც კრედიტში პრობლემა არის ის, რომ დარგობრივი კურსები არ არსებობს ახალი სტანდარტებით. ერთადერთი სავალდებულო საგანია მხოლოდ სწავლების მეთოდები, დანარჩენი საგნები არის ყველა არჩევითი და ეს კურსები ან არ არის რელევანტური, ან მათზე იმდენად დიდი მოთხოვნაა, რომ სტუდენტები დარეგისტრირებას ვერ ახერხებენ.

დედაქალაქში არსებული ერთ-ერთი მსხვილი საჯარო უნივერსიტეტის პროფესორის ამ ამონარიდში ჩანს, რომ კურსის არსებობის შემთხვევაშიც კი, იგი შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის, რადგან მოთხოვნა მნიშნელოვნად აჭარბებს მიწოდებას. ამ მოსაზრებას სხვა უნივერსიტეტის პროფესორებიც ეთანხმებიან.

> ფაკულტეტს ჰყავს 250 დოქტორანტი, მათ გარდა უნივერსიტეტში სხვა ფაკულტეტზეც ანალოგიური სიტუაციაა. პრობლემა არის ის, რომ ვერ ახერხებენ დარეგისტრირებას იმ ძირითად საგნებზე, ამის გამო ხშირად მათ უწევთ სემესტრის შეჩერება, სტატუსის შეჩერება.
>
> პროფესორი

უნივერსიტეტებისთვის რთული აღმოჩნდა მრავალფეროვანი და დოქტორანტურის დონისთვის შესაფერისი სასწავლო კურსების შეთავაზება. სირთულე არის როგორც აკადემიური ხასიათის, ისე ფინანსური. ამგვარი შეთავაზების აუცილებლობა კიდევ უფრო ზრდის პროფესორების დატვირტას და ისინი ხშირად უარს ამბობენ სადოქტორო საფეხურზე კურსი წაიკითხონ. ზოგიერთ უნივერსიტეტში დავაკვირდით განვითარებას, როდესაც დასავლური ტიპის სტრუქტურული პროგრამა, რომელიც აკადემიურ წერას, კველვის მეთოდებს და დარგორბივ კურსებს სთავაზობდა, გადადის ახალ მეთოდზე, როდესაც უფორ მომზადებულ დოქტორანტებს იღებს და აღარს სთავაზობს წინასწარ შედგენილ დარგობრივ ან თემატურ ან უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამას (მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). სასწავლო კომპონენტის ჩანაცვლება ხდება პროფესორთან, საკუთარ ხელმძღვანელთან სემინარებით, რაც ხშირად (თუ პროფესორს მხოლოდ ერთი დოქტორანტი ჰყავს) ინდივიდუალურ მოდელად იქცევა. მიუხედავად იმისა, რომ სამი წლის მანძილზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ტემპუსის პროექტი სტრუქტურული სადოქტორო პროგრამების განვითარებისთვის და ამ პროექტის ფარგლებში დატრენინგდნენ პროფესორები ისეთი კურსებისთვის, როგორიცაა აკადემიური წერა გამოქვეყნებისთვის (ინგლისურ ენაზე) და მსგავსი, წლევანდელი წლიდან უნივერსიტეტი ამ კურსებს აღარ სთავაზობს. რადგან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, დოქტორანტურა უფასო იყოს, ნებისმიერი შეთავაზებული კურსი სადოქტორო დონეზე ფინანსური და აკადემიური პრობლემაა. პრობლემის გადაჭრას მოქნილ რეგულაციებში ხედავენ:

თუ უფლებას მოგვცემენ, რომ Graduate კურსები გვქონდეს, როდესაც გრაკვეულ კომპონენტს (მაგ. სააუდიტორო დროს) მაგისტრანტები და დოქტორანტები იყოფენ ან შემეძლება, რომ ჩემი დოქტორანტი სხვა უნივერსიტეტში გავუშვა და ვუთხრა, ესა და ეს კურსი აიღე, გჭირდება, ეს პრობლემა გადაიჭრება.
პროფესორი

ბიბლიოთეკა

რესპონდენტების აზრით, ბოლო დროს უნივერსიტეტებში წვდომა ელექტრონულ რესურსებზე გაუმჯობესდა, თუმცა საინტერესოა, რომ რესპონდენტების ნაწილს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს უნივერსიტეტში არსებულ რესურსებზე, რადგან მათ უბრალოდ არ იყენებს.

> [ბიბლიოთეკას] მე უშუალოდ არ ვიყენებ, მაგრამ შემიძლია გამოვიყენო თავისუფლად, კი. და კომპიუტერები არის ჩვენთან, შეიძლება გამოიყენო.
>
> დოქტორანტი

ის სტუდენტები, რომლებიც უფრო აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკით, სივრცის მოწყობისა და ბიბლიოთეკების მუშაობის განრიგის პრობლემებზე საუბრობენ:

> შვებულება ავიღე იმისათვის, რომ დოქტორანტურას მოვრჩე. მივდივარ ბიბლიოთეკაში 10-დან 5 საათამდე, 5 საათზე იხურება. ესეც არის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა, ერთი პატარა სივრცეა, თავისი წიგნებით. ყველანაირ სივრცეში დოქტორანტურის სტუდენტი ვერ დაჯდება, საჯარო ბიბლიოთეკაში ვერ დაჯდება იმიტომ, რომ იქ არის ჯგუფი ადამიანისა, რომლებიც ინტერნეტს იყენებენ იმისათვის, რომ ფეხბურთის მატჩების შედეგები შეამოწმონ... არ ჰყავს უნივერსიტეტს იმდენი დოქტორანტი, რომ ერთი კომპიუტერული ოთახი ვერ გააკეთოს რომელიმე კორპუსში, რომელიც 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს.
>
> დოქტორანტი

ყოფილმა და მოქმედმა დოქტორანტებმა, აგრეთვე, ისაუბრეს უნივერსიტეტს გარეთ ბიბლიოთეკებში კლიენტის საჭიროებებზე მორგებული სერვისების ნაკლებობაზე.

> საჯარო ბიბლიოთეკას აქვს ძალიან კარგი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, „ივერიელი“ ქვია, რომელიც საჯაროს ტერიტორიიდან შეგიძლია გამოიყენო, მე, მაგალითად, ძალიან გამომადგა, რომ აქვთ „იზვესტიას“ და „პრავდას“ ყველა ნომერი. ბევრი წელია აქვთ, და მე რომ დავიწყე სარგებლობა, მაშინ აღმოჩნდა, რომ ამობეჭდვა არ შეიძლებოდა, ფაილის შენახვა არ შეიძლებოდა, და მთელი ტექნიკური რევოლუცია, სტაფი და IT, ყველა დამეხვია თავს და რეალურად იმ დღეს დაიწყო ამ ბაზის გამოყენება. და ეს არის ბაზა, რომელშიც იდება უამრავი რესურსი, გადამხდელების ფულიც, მათ შორის, იმიტომ, რომ ეს არის საჯარო ბიბლიოთეკა. და გამოყენებადი არ იყო, userfriendly… ძალიან კარგი ბაზებია, მაგრამ ეს ტრაფიკი კვლევის საშუალებებსა და მკვლევარებს შორის სრულებით არ არის....

სტუდენტის ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ ბიბლიოთეკებში ზოგიერთ შემთხვევაში სერვისი დახვეწას საჭიროებს, ხოლო მოთხოვნის არარსებობის პირობებში ეს პროცესი ნელა და არაეფექტურად მიმდინარეობს.

ანალოგიური სიტუაცია

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელზეც დოქტორანტებმა ისაუბრეს, საველე სამუშაოების განხორციელებისას მესამე მხარესთან ურთიერთობის სპეციფიკაა. რესპონდენტების აზრით, სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან ნაკლებად არის კვლევით პროექტებში თანამშრომლობის მზაობა, რასაც, მათი აზრით, პირველ რიგში მკვლევარებისადმი და ზოგადად, კვლევის პროცესისადმი ნდობის, საერთო ინტერესების ნაკლებობა განაპირობებს.

> ჩემ შემთხვევაში, ფინანსები ნაკლებად.... უფრო ნდობა არ არის. იმისთვის, რომ რაღაც ორგანიზაციაში შევიდე და ვიკვლიო, ფინანსები ნაკლებად მჭირდება, მე თვითონ ვიცი, რას ვეძებ, ჩამოყალიბებული ვარ, და ელემენტარული თაბახზე რაღაც კითხვარი რომ შემივსონ, ის დავბეჭდო და აქედან ჩემთვის რაღაც დასკნა გამოვიტანო, ამისთვის დიდი ფინანსები არ მინდა. უბრალოდ ნება არ არის ორგანიზაციის ხელმძღვანელის *(იგულისხმება ველზე შეღწევის პრობლემა კვლევის შემთხვევაში).*
>
> დოქტორანტი

> არ ენდობიან უნივერსიტეტებს, არ აინტერესებთ ეს კვლევა. როდესაც ვურეკავთ ერთ-ერთი კომპანიის დირექტორს, კომერციულ დირექტორს, რომელიც უშუალოდ იღებს მონაწილეობას მოლაპარაკებებში, მპასუხობს - არავითარ შემთხვევაში, ეს დაფარული ინფორმაციაა. ვურეკავ იგივე კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს, რომელიც არის უცხოელი და მოდი შენი ჭირიმე რა გინდა, ხუთ გვერდიანი ქეისი მთელი თავისი კომპონენტებით მე მიდევს მაგიდაზე.
>
> დოქტორნატი

პროცესი

წესები და რეგულაციები

დოქტორანტებთან დისკუსიის პროცესში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში მათ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებზე დოქტორანტურასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთი და იმავე უნივერსიტეტის წარმომადგენლებს განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდათ დოქტორანტურის ხანგრძლივობაზე, მოთხოვნებზე, კრედიტების განაწილებაზე, დოქტორანტურაში სწავლის ეტაპების თანმიმდევრობაზე, ცალკეული ტერმინის მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე. ხშირად მოდელები ბრამდ არის გადმოღებული რომელიმე დასავლური უნივერსიტეტიდან ან სხვა ქართული უნივერსიტეტის ანალოგიით ინერგება შეთანხმების და საჭიროების გააზრების გარეშე.

> აი ამ სემესტრში ვაპირებ, რომ ავიღო კოლოკვიუმი, თუ როგორც ქვია... ეს უნდა იყოს არა იმაზე, რაზეც ვწერ თემას, არამედ რაღაც სხვაზე, და უნდა დავწერო რაღაც. ეს არის კრედიტი. სტატია არ მოგვეთხოვება, სავალდებულო არ არის, მგონი.
>
> დოქტორანტი

რესპონდენტები ამგვარი დაბნეულობის მიზეზად რეგულაციებისა და წესების ხშირ ცვლას და ინფორმაციის გავრცელების ხარვეზებს ასახელებენ.

> წესები კი არის, მაგრამ მუდმივად იცვლება
>
> დოქტორანტი

> ჩვენთან იყო ერთი რამ ცუდი, ჩვენ რომ ჩავაბარეთ, და პირველი თაობა ვიყავით, არ იყო ჯერ გარკვეული მოთხოვნები და ნელ-ნელა იდებოდა და იწერებოდა სტანდარტები და ასე შემდეგ, ნუ მოგვსდევდა, ამიტომ არ ვიცი, სხვების შემთხვევაში როგორ იყო, მაგრამ მე რომ მეგონა, რომ აკმაყოფილებდა ჩემი პუბლიკაციები ამ მოთხოვნებს, თითქმის ბოლოში გასულს მითხრეს, რომ არ აკმაყოფილებდა. მაგალითად, ერთი რაღაცა უნდა ვთქვა, იმიტომ რომ ამაზე ძალიან ვნერვიულობ და ვფორიაქობ, რომ აფილირებაში არ მეწერა ილიას უნივერსიტეტი და ისე დაიბეჭდა. და ეს მოთხოვნა არ იყო გაჟღერებული და მერე დაიწერა ეს ყველაფერი, სტანდარტები დაიდო და იმის მიხედვით, უკვე არ აკმაყოფილებდა. ერთი იყო... 2007 წელს გამოვიდა, მანამდე სხვებმა არ ივარგა, ბოლოს მომიხდა ძალიან საჩქარო რეჟიმში ამ ჟურნალის მოძებნა და გაწაფული ვიყავი იმ მომენტისთვის. რაღაც ორ კვირაში გავაკეთე და იმან იმუშავა უკვე. არადა, ფაქტიურად მეტი რაღაცა მქონდა უკვე დადებული.
>
> ყოფილი დოქტორანტი

ზოგიერთი უნივერსიტეტის დოქტორანტები და პროფესორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია წესებისა და რეგულაციების შესახებ გაფანტულია სხვადასხვა დოკუმენტებში, ვებ-გვერდზე ერთად არ არის თავმოყრილი და მთლიანი სურათის აღქმა საკმაოდ რთულია.

მოთხოვნების მრავალფეროვნება და დაძლევადობა

დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის ძირითადი მოთხოვნები მსგავსია უნივერსიტეტების მიხედვით და სამ მსხვილ კატეგორიას მოიცავს: სასწავლო კომპონენტის მოთხოვნებს, კვლევითი კომპონენტის მოთხოვნებსა და ასისტირების კომპონენტის მოთხოვნებს.

სასწავლო კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს, უმეტეს შემთხვევაში, სამოცი კრედიტის მოგროვება ევალებათ, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ რთულია კურსების მწირი არჩევანის პირობებში.

ყველაზე ნაკლები პრობლემა სტუდენტებს ასისტირების კომპონენტში ექმნებათ, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ამ მხრივ ისინი პროფესორების დამხმარე ძალას წარმოადგენენ და დოქტორანტების რესურსი, ძირითადად, აქტიურად გამოიყენება სწავლების პროცესში.

> რაც შეეხება მონაწილეობას სასწავლო პროცესში, მე ძალიან აქტიურად ვიყენებ დოქტორანტურის სტუდენტებს აკადემიურ საქმიანობაში, სტუდენტები ატარებენ სემინარებს, სტუდენტები ასწორებენ ნაშრომებს, მონაწილეობას იღებენ ტესტების შედგენაში; მოკლედ მათი ჩართვა სწავლების პროცესში პრობლემას არ წარმოადგენს.

ისინი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია დახმარების გაწევის თვალსაზრისით, მოკლედ ისინი არიან ჩვენი ასისტენტები ხშირ შემთხვევაში, რაც ჩვენ შრომას გვიმსუბუქებს და ისინიც იძენენ გამოცდილებას, ორმხრივად სასარგებლოა.

პროფესორი

პროფესორები და დოქტორანტები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ ყველაზე რთულად დასაძლევი მოთხოვნა კვლევით კომპონენტს უკავშირდება. კერძოდ, კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს (პროფესორებს, დოქტორანტებს) მიაჩნიათ, რომ ზოგიერთ უნივერსიტეტში არსებული მოთხოვნა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში 2 სტატიის გამოქვეყნების თაობაზე, ძალიან რთულია შესასრულებლად.

ე.წ teaching practice, სწავლება არასოდეს იყო პრობლემა ჩვენს ჯგუფში, იმიტომ, რომ ყველა რაღაცას კითხულობს მიმდინარე რეჟიმში; რთულია ორი სტატიის გამოქვეყნება, უბრალოდ პრობლემატურია საქართველოს პირობებში, იმიტომ, რომ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება ჩვენთვის ილუზორული მიზანია.

ყოფილი დოქტორანტი

რესპონდენტების ინფორმაციით, მსგავსი წესი ყველა უნივერსიტეტში არ მოქმედებს. წესის გამარტივების მიზეზად ის უნივერსიტეტები, სადაც მოთხოვნები გამარტივებულია, რეალური ვითარების ადეკვატურ შეფასებას ასახელებს.

პროგრამების აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში ბევრ უნივერსიტეტს მექანიკურად აქვს დაფიქსირებული საკუთარ პროგრამებში ამგვარი [საერთაშორიო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების] მოთხოვნა. როცა შეფასებამდე მივა საქმე, თუ მივა საერთოდ, ალბათ მოგვიწევს ამ წესის შეცვლა. ჯერ-ჯერობით ეს მოთხოვნა არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, პროფესორებისათვისაც არის დაუძლეველი.

პროფესორი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერ უნივერსიტეტს უფრო მაღალი მოლოდინი აქვს დოქტორანტებისადმი, ვიდრე მათი აკადემიური პერსონალი აკმაყოფილებს. ეს განსაკუთრებით ეხება დისერტაციის დაცვამდე სტატიის გამოქვეყნების ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ამგვარი მოთხოვნა ძალიან მკაცრად და არარეალისტურად გამოიყურება, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მოთხოვნის გაჩენის შემდეგ ბოლო 5 წლის მანძილზე კონკრეტული სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების დოქტორანტებმა 10-მდე სტატია გამოაქვეყნეს საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაგან ერთი შესულია ISI Web of Knowledge ე. წ. თომსონის ბაზაში, ხოლო დანარჩენები Scopus, Ebsco EbscoHost და სხვა მონაცემთა ბაზებში. შედარებისთვის, ამავე უნივერსიტეტების პროფესორებს იმავე წლებში იმავე დარგში მსგავსი გამოქვეყნებები არა აქვთ (შეადარეთ **საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების**

ანალიზი, 2014, G-Pac და GRASS, ასევე საქართველოში კვლევითი აქტივობის შესახებ კვლევა, 2014 Research performance in Georgia: analysis and recommendations 2014, Tamar Bregvadze, Karim Medjad, Tinatin Bregvadze). შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ერთი შეხედვით არარეალისტური მოთხოვნა რეალურ ბიძგად იქცა გამოქვეყნებისთვის.

ქსელური მუშაობა, ინტერაქცია

დისკუსიის შედეგების თანახმად, დოქტორანტურის საფეხურზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას დოქტორანტებს შორის ქსელური მუშაობის ინტენსივობის და ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს.

ამ მხრივ სურათი განსხვავდება უნივერსიტეტებისა და მიმართულებების მიხედვით. ცალკეული პროგრამების ყოფილი ან ამჟამინდელი სტუდენტები ჯგუფური შეხვედრების, ისევე როგორც ონლაინ კომუნიკაციის მნიშვნელობაზე საუბრობენ და ამ მხრივ საკუთარ პოზიტიურ გამოცდილებას იხსენებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ ინტერაქციას სისტემური ხასიათი არ ქონდა.

> არის ცალკეული შემთხვევები ყველა უნივერსიტეტში, თუმცა სისტემური ხასიათი არ აქვს. სრულიად არაჩვეულებრივად იყო პირველი წლის დოქტორანტურა, თავისი პროგრამიანად. მოულოდნელად ზრდასრულ ასაკში აღმოვჩნდი ჯგუფში, სადაც იყო ძალიან ბევრი ინფორმაციის გაცვლა. ვიცოდით, ვინ რაზე მუშაობდა. ბოლოსკენ უკვე როდესაც მომზადდა ეს თემები, დავკარგეთ კავშირი ერთმანეთთან.
>
> დაცული

დისკუსიებში მონაწილე ზოგიერთი დოქტორანტი თვლიდა, რომ ამგვარი ურთიერთობების საჭიროება არ არის, რადგან დოქტორანტების თემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

> ოცამდე დოქტორანტია, ვინც ჩემი მიმართულებით მუშაობს ჩვენთან ამ წუთას, მაგრამ აქედან ჩემთან მონათესავე არცერთია.
>
> დოქტორანტი

ცალკეული დოქტორანტები კი აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი გამოცდილება საერთოდ არ აქვთ.

> ჩვენთან უნივერსიტეტები, როგორც კორპორაციები, არ მოქმედებენ. არავინ იცის, ვინ რას მუშაობს, ვინ რას აკეთებს. რომ შევიკრიბოთ, განვიხილოთ და რაღაც, ეს პროცესი არ არის.
>
> დოქტორანტი
>
> ზოგი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი კი დიდი სიმარტივეს მიიჩნევს პრობლემად:
>
> აგერ მუშაობს, მაგალითად, გვერდზე ოთახში ზოგი. შემოვა მეორე ოთახში და დაიცავს. არანაირი გარე-შეფასება არ ხდება. არ ღელავს, ნეტავ ვინ მომისმენს, რა

> კითხვას დამისვამს. კი არის გაწერილი: პროსპექტუსი, კოლოკვიუმი. მაგრამ კოლოკვიუმზეც მარტო თავის პროფესორს ხვდება. სულ ჩვენა გვხვდება და იოლია
> პროფესორი

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ქსელური მუშაობის თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქმნება იმ პროგრამებში, სადაც იმთავითვე დოქტორანტები ერთი კვლევითი თემის/ინტერესის ირგვლივ არიან გაერთიანებულნი, ანუ მიღება ცხადდება კონკრეტული კვლევითი თემის გარშემო. თუმცა, სადოქტორო პროგრამების აწყობის ამგვარი პრაქტიკა ჯერ-ჯერობით საკმაოდ იშვიათია.

დოქტორანტებისა და პროფესორების ინფორმაციით, იქ სადაც ამგვარი პროგრამები მოქმედებს, ინტერაქცია კვლევაში ჩართულ ყველა მკვლევარს შორის რეალური ინტერესებით და არა ფორმალური პროცესებით არის განპირობებული და, შესაბამისად, უფრო ნაყოფიერი და ინტენსიური ხასიათი აქვს.

სამწუხაროდ, მსგავს თემაზე მომუშავე მკვლევარებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა საკმაოდ იშვიათია როგორც დოქტორანტების დონეზე, ისე პროფესორებს შორისაც, როგორც უნივერსიტეტებს შორის, ისე ცალკეული უნივერსიტეტის შიგნითაც.

ცალკეულ შემთხვევაში მკვლევარები საფრთხესაც კი ხედავენ იმაში, რომ მსგავს თემაზე იმუშაონ:

> ვიღაცამ დაცვა დაგასწრო, ვიღაცამ წიგნი გამოუშვა. მეორე პრობლემაა, რომ აირჩიოს სტუდენტმა თემა და მერე რომ აღმოჩნდეს, რომ სხვასაც იგივე აქვს არჩეული.
> დოქტორანტი

> დიდი პრობლემაა, როცა თემას ვეტყვით, ზეპირად უნდა ვიცოდეთ კიდევ სხვაც ამ თემაზე მუშაობს თუ არა.
> პროფესორი

ამ შემთხვევებში საუბარია არა თანამშრომლობის სურვილზე, არამედ დამთხვევა რომ არ მოხდეს ან სხვის სფეროში არ შეიჭრას უნებრუად დოქტორანტი. როგორც ჩანს, ეს გეგმიური კვლევეის ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს.

რეგიონის უნივერსიტეტები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ თანამშრომლობის და ქსელების განვითარების სურვილს:

> პერიფერიისთვის ძალიან პრობლემურია დოქტორანტურა: დოქტორანტი სფეროს არ იცნობს, ხალხს არ იცნობს, ვერავის ვერ ნახულობენ. სივრცე უნდა გაიხსნას.
> პროფესორი

> თანამშრომლობის კუთხით მინდა ვთქვა: თანამშრომლობით პროექტებში ჩართვა უნდა იყოს სავალდებულო. ქსელურობას უნდა შეეწყოს ხელი. სამთვიანი, ექვსთვიანი პროგრამები, რამდენიმე უნივერსიტეტი უნდა იკრიბებოდეს. ლიტერატურის განხილვა უნდა ხდებოდეს. უნდა განვიხილოთ ერთად. ერთობლივ პროექტებს უნდა მიანიჭონ უპირატესობა.
> პროფესორი

ქსელური მუშაობის კიდევ ერთი მნიშნელოვანი ფორმა, რესპონდენტების აზრით, კონფერენციებში მონაწილეობაა. რესპონდენტების ნაწილის აზრით, დოქტორანტების კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერისათვის უნივერსიტეტებს ხშირ შემთხვევაში საკმარისი ფინანსური რესურსები არ აქვთ.

> კონფერენციები რა მოგახსენოთ, ჩვენც ძლივს დავდივართ იქ, იმიტომ რომ კონფერენციებზე წასვლა დაკავშირებულია ფინანსებთან. ადგილობრივ კონფერენციებში ისინი იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ადგილობრივი კონფერენციები რომ გითხრათ რომ მაღალი სიხშირით გამოირჩევა და რაც ტარდება იქ მაღალი დონეა, ტყუილია. მათი პროფესიული ზრდისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, საეთაშორისო კონფერენციები თანხები ჯდება, თანხები უნივერსიტეტს არ აქვს, დოქტორანტებზე ფული არ იხარჯება,
> პროფესორი

სხვა რესპონდენტების ინფორმაციით, კონფერენციებში მონაწილეობის თვალსაზრისით ახლა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია წინა წლებთან შედარებით - უფრო მეტ დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა წავიდეს, უფრო გამჭვირვალე გახდა ინფორმაცია და თანხებიც გაიზარდა, თუმცა ცალკეულ შემთვევაში პრობლემას წარმოადგენს კონფერენციებში მონაწილეობისათვის შერჩევის საუნივერსიტეტო კრიტერიუმები. პრობლემად ასახელებენ ასევე რეგიონალური თუ საქართველოში ჩატარებული კონფერენციების ხარისხს.

> კონფერენციაზე მინდოდა წასვლა იმიტომ, რომ იქ მე, ჯერ ერთი, მოვამზადებდი მოხსენებას, მერე ჩამეთვლებოდა, მერე გაკეთდებოდა სტატიას და მოვსინჯე, სამივლინებო თანხას ხომ არ გამოყოფს უნივერსიტეტითქო და არაო, ჯერ სტატია უნდა გქონდეს ორ ჟურნალშიო და მხოლოდ მერეო. სწორედ იმიტომ მინდოდა წასვლა, რომ ეს სტატია გამეკეთებინა.
> დაცული

ზოგიერთ უნივერსიტეტში დოქტორანტებს შორის თანამშრომლობის ერთგვარი პლატფორმა, პროსპექტუსების დაცვასთან დაკავშირებული შეხვედრებია. აქ დოქტორანტები აძლევენ რჩევებს ერთმანეთს კვლევის პროექტების გაუმჯობესებისთვის. თუმცა, როგორც იგივე დოქტორანტები აღნიშნავენ, ეს საკმარისი არ არის და საჭიროა უფრო ინტენსიური შეხვედრები, იმისთვის, რომ ხელმძღვანელების მცირე ჩართულობისა და კურსების ნაკლებობის პირობებში, რაც შესაძლებელია მეტი უკუკავშირის მიღება შესძლონ.

ხელმძღვანელთან ურთიერთობის ინტენსივობა

კვლევაში ჩართული დოქტორანტების უმეტესობა თვლის, რომ უმჯობესი იქნებოდა ხელმძღვანელთან ურთიერთობის ინტენსივობის გაზრდა. ამ მოსაზრებას პროფესორებიც ეთანხმებიან და აღნიშნავენ, რომ „ხშირად სისტემა მარტოს ტოვებს დოქტორანტს იმ პრობლემების წინაშე, რომელიც პროფესორთან ერთად უნდა გადაწყდეს“.

ხელმძღვანელებთან ურთიერთობის დეფიციტს დოქტორანტები უმეტესად პროფესორების მოუცლელობას უკავშირებენ, რაც, თავისმხრივ, სხვადასხვა მიზეზებით არის განპირობებული.

ერთ-ერთი მიზეზი, რესპონდენტების აზრით, უნივერსიტეტს გარეთ პროფესორის დატვირთვაა:

> მეც ვიცი, რომ არის ეს პრობლემა, კომუნიკაციის ლექტორებსა და დოქტორანტებს შორის. მე არ მქონია ეგ პრობლემა და არც მექნება იმიტომ, რომ კარგი ხელმძღვანელი მყავს. მაგრამ სხვებისგან გამიგია, მაგალითად, ვინც მუშაობენ, მაგალითად, ჩემი ძმაკაცის ლექტორი იყო პარლამენტარი, რომელსაც საერთოდ ვერ ხედავდა, ტელეფონსაც არ იღებდა. ანუ ვიცი, რომ ვიღაცეებს ეგ პრობლემა აქვთ, უშუალოდ მე არ მექნება.
>
> დოქტორანტი

მეორე მიზეზი - უნივერსიტეტის შიგნით დიდი სასწავლო დატვირთვაა.

> კი, [ხელმძღვანელი] ყოველთვის მეხმარება, მაგრამ არის ცოტა ისეთი პრობლემა... მუშაობს, აქვს სულ ლექციები, როცა მე მცალია, იმას არ სცალია და პირიქით. ვერ ვიტყვი, რომ ეს მარტო მისი პრობლემაა, ჩემი პრობლემაცაა. მაგრამ მეილებით რომ გვქონდეს ურთიერთბა, რომ დავუშვათ რაღაც გადავუგზავნე, იმან წამიკითხა, ჩამისწორა - აი ეს არ არის, რატომღაც პროფესორსა და სტუდენტს შორის ესეთი მოქნილი ურთიერთობა არ არის, მეილით...

ამ ამონარიდიდან ისიც ჩანს, რომ სტუდენტისა და პროფესორის კომუნიკაციისათვის, ცალკეულ შემთხვევაში არაეფექტურად გამოიყენება ელექტრონული მიმოწერაც.

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთ ყოფილ დოქტორანტს ორ ხელმძღვანელთან მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. მისი აზრით, პროფესორის მოუცლელობა მხოლოდ ერთი მიზეზია. ზოგიერთ შემთხვევში პროფესორს უბრალოდ არ შეუძლია სტუდენტისთვის დახმარების გაწევა, რადგან კონკრეტულ სფეროში საკმარისი კომპეტენცია არა აქვს.

> პირველ შემთხვევაში, კომპეტენციის პრობლემა იყო. მეორე შემთხვევაში არა, მაგრამ მას (მეორეს) არ ეცალა ჩემთვის, უარს კი არ მეუბნებოდა შეხვედრებზე, მაგრამ იმდენად არ ეცალა, მხოლოდ ჩემით თუ დავუსვამმდი შეკითხვას, მიპასუხებდა. ის ადამიანი უბრალოდ მოუცლელობის გამო, თორემ ისე არაჩვეულებრივი იყო.

დოქტორანტურაში სწავლის გამოცდილების მქონე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პრობლემის მოგვარებას შესაძლოა ხელი შეუწყოს პროცესის უკეთ სტრუქტურირებამ და მონიტორინგის გაუმჯობესებამ, თუმცა ამისათვის საკმარისი ადმინისტრაციული რესურსი უნდა გამოიყოს.

> ესეც განსასაზღვრია, რამდენი დრო უნდა დაუთმოს სტუდენტს და როდის ელაპარაკოს. საათობით ვერ ელაპარაკება...ჩემი პროგრამის შემთხვევაში, ეს არის ნორმირებული, გაწერილია, როდის რა უნდა ჩააბარო და როდის გვაქვს შეხვედრის საათი. ანუ როგორც სტუდენტის, ისე ლექტორის ვალდებულება გაწერილი უნდა იყოს პროგრამაში. ამაზეიყო საუბარი, რომ როცა ერთი კოორდინატორია, ამას არ ეშველება, როცა ყველას თავისი კოორდინატორი ეყოლება, ამის გაწერა უკვე მოხდება.
>
> ყოფილი დოქტორანტი

პროფესორები, თავის მხრივ, საკითხის დარეგულირებისათვის მნიშნელოვნად მიიჩნევენ პოლიტიკის დონეზე ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, პროფესორის დატვირთვაში ხელმძღვანელობის დატვირთვის დაზუსტებას და ანაზღაურებასთან დაკავშირებას.

> ხელმძღვანელები, ხშირად, არ უწევენ ხელმძღვანელობას და დადიან დოქტორანტები ისე, რომ ვერ იღებენ კონსულტაციას ლექტორებისგან, რაც არის სრული სიმართლე, მაგრამ ამ ყველაფერს კიდევ სხვა მიზეზებიც აქვს, და პრობლემა, რაზეც პროფესორები საუბრობენ არის ის, რომ პროფესორის დატვირთვაში ეს არ არის დარეგულირებული.
>
> პროფესორი

როგორც პროფესორები, ისე დოქტორანტები მიიჩნევენ, რომ კვლევითი პროექტების არარსებობა და დაფინანსების სიმცირე განაპირობებს როგორც პროფესორების და დოქტორანტების მოუცლელობას (პარალელურად სხვა სამსახურში მუშაობენ), ისე მათ დაბალ კომპეტენციას.

> რეალურად არც იკვლევს რამეს და რა უნდა მიხელმძღვანელოს. გულახდილად რომ ვთქვათ, ვინ იკვლევს რო?
>
> დოქტორანტი

ზოგიერთ შემთხვევაში დოქტორანტებს ჰყავთ არაფორმალური ხელმძღვანელი. ეს შეიძლება იყოს მაგალითად საზღვარგარეთ არსებული პროფესორი, რომელთანაც დოქტორანტს ურთიერთობა ჰქონია და რომელიც აგრძელებს დოქტორანტისთვის სასარგებლო რჩევების მიცემას მისი თემის განვითარების საქმეში. საზღვარგარეთ არსებული კონტაქტები ეხმარება აგრეთვე რესურსების დეფიციტის შევსებაშიც, რადგან ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს შესაძლოა სხვა უნივერსიტეტში არსებულ ელექტრონულ მასალებზეც ჰქონდეს ხელმისაწვდომობა.

პროცესები და პროცედურები

რესპონდენტებთან დისკუსიის შედეგები აჩვენებს, რომ ცალკეული გამონაკლისის გარდა, წესებითა და რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები რეალურად ნაკლებად ეფექტურად მიმდინარეობს. პირველ რიგში ეს თავად კვლევითი პროცესის მიმდინარეობას ეხება.

ჩვენი უნივერსიტეტები არის კოლეჯი, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ სამეცნიერო პროცესი - არა. სამეცნიერო პროცესის არქონა განპირობებულია უპირველეს ყოვლისა სახსრების სიმცირით და, გარდა ამისა, ალბათ, დაბალი კვალიფიკაციით ჩვენი პროფესორის მთელ რიგ დარგებში, მე სხვას არ ვეხები.

პროფესორი

ცალკეული მიმართულებებით პრობლემას წარმოადგენს ის, რომ **არ არის საკმარისი თანხები საველე სამუშაოების განსახორციელებლად**

შედარებით უკეთეს სიტუაციაში არიან ის სპეციალობები, ის დოქტორანტები, რომელთაც კამერალური მუშაობით შეუძლიათ დაწერონ დისერტაცია, თუ საქმე მიდგა ველზე აქვთ სრული ჩავარდნა, მე გეოგრაფიას წარმოვადგენ და გეოგრაფიაში უდიდესი ნაწილი ველი უნდა იყოს. ველი არ გვაქვს, იმიტომ რომ ფული არ გვაქვს. არ არის ფული, არ არის ველი, არ არის სამეცნიერო მუშაობა ესე იგი არ ვვარგივართ.

პროფესორი

იქ, სადაც კვლევითი პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობს, **თანმდევი პროცესებიც ფორმალურ ხასიათს იძენს:**

ძალიან კარგია სხვათაშორის ის რაც ეხლა შემოვიდა, 20 კრედიტიანი კოლოქვიუმი ეს კვლევით კომპონენტში და სასწავლო კომპონენტი სემინარიც, მაგრამ კვლავ მივდივართ იქამდე, რომ ეს ყველაფერი ფასადურია. დოქტორანტს სჭირდება სამუშაოდ დრო და თანხა. არცერთი არ გვაქვს.

პროფესორი

ძალიან იშვიათად შემთხვევაში გვაქვს ჩვენ სემინარი რომელიც ფორმალობას არ ემსგავსება. მოვა 15 შეხვედრიდან ერთზე და არა ყველაზე, იმიტომ რომ თავისი ნაშრომი წარმოადგინოს და პრეზენტაცია მოახერხოს.

პროფესორი

პროფესორები, ასევე, გულახდილად საუბრობდნენ იმაზე, რომ პროცესებისა და პროცედურების ფორმალურ ხასიათს ისიც განაპირობებს, რომ ამ ყველაფრის უკან არ დგას დაინტერესებული მხარის - დოქტორანტისა და პროფესორის რეალური ინტერესი. რიგ შემთხვევებში **სასწავლო კომპონენტის შინაარსი არ შეესაბამება სადოქტორო კვლევის კონკრეტულ მიზნებს, ასევე, პროფესორისა და დოქტორანტის კვლევითი ინტერესების არ არის თანხვედრაში.**

სამუშაო ბევრია, რაც შეეხება დოქტორანტურის პროგრამას. მართალია, ჩვენ ვთავაზობთ სალექციო კურსებს და სემინარებს ჩვენს დოქტორანტებს, მაგრამ ხშირად ეს კურსები არ ემთხვევა ხოლმე დოქტორანტების ინტერესებს, ამიტომ დოქტორანტების ამ სემინარებზე დასწრებას სავალდებულო მხარე უფრო აქვს ,ვიდრე ვთქვათ მათი სურვილი და ინტერესი. იშვიათად, რომ ჩემი ინტერესები და დოქტორანტების ჯგუფის კვლევის ინტერესი ერთმანეთს დაემთხვეს. ამ მხრივ საჭიროა ბევრი მუშაობა.

პროფესორების ნაწილის აზრით, მნიშნელოვანია, რომ დოქტორანტურაში სწავლის პირობები გამკაცრდეს და შემოღებულ იქნეს ერთგვარი **შუალედური ფილტრი სასწავლო და კვლევით კომპონენტს შორის,** რაც სათანადო თეორიული ცოდნის არქონის შემთვევაში, დოქტორანტს შემდეგ კომპონენტზე გადასვლის შესაძლებლობას არ მისცემს.

> ჩვენ არ გვაქვს ორსაფეხურიანი სისტემა სადოქტორო სწავლებებში. თავად სისტემა გვთავაზობს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. ეს მოთხოვნა ფორმალურად დაცულია, მაგრამ ის, რაც არის დასავლეთში, რომ სასწავლოდან ავტომატურად არ გადადის კვლევითზე, არამედ უწევს მინიმუმ ერთი გამოცდის ჩაბარება საკუთარ დარგში და ერთ მომიჯნავე დარგში და ეს არის რთული გამოცდა იმ თვალსაზრისით, რომ რამდენად სრულყოფილად აქვს იმ ლიტერატურაზე წარმოდგენა, რომელიც ამ დარგშია და აბსოლიტურად ყველაფერი ესმის თუ არა. ბევრი დასავლეთში იჭრება ამ სადოქტორო გამოცდაში. ჩვენთან მსგავსი არაფერია, ანუ გამოდის, რომ დათქმაა, რომ ადვილად ვიღებ, ადვილადაც უნდა დამთავრდეს. ანუ თვითონ სისტემაც გაუმართავია,რომ შევხედოთ ამ თვალსაზრისით ის არ იძლევა შიგნით ხარისხის დაცვის საშუალებას და ბევრი რამე ისევ ჩვენ გვიბრუნდება.

კვლევითი პროცესის მონიტორინგი, რესპონდენტების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიაში, თუმცა, კონტროლის მექანიზმი არაეფექტურია, თუ მას არ ახლავს მხარდაჭერის მექანიზმი.

> უნივერსიტეტში რასაც ვაპროტესტებთ ამდენი წელიწადია - წლის ბოლოს უნივერსიტეტი გიგზავნის აკადემიურ პერსონალის შეფასების კითხვარს, სადაც გთხოვს რომ ჩამოწერო რამდენი კვლევა განახორციელე და ასე შემდეგ. მერამდენე წელიწადია ეს არის, კვლევას ვაკეთებ, მე თვითონ მკვლევარი ვარ და საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი ვარ და რაც იმ ორგანიზაციაში კვლევაა, სულ ჩართული ვარ და ვერ ვიტყვი, რომ ამ სფეროს მოწყვეტილი ვარ... არასდროს არ ვწერ, ვავსებ ამას და ყოველთვის კითხვის ნიშნად ვუწერ, რა გააკეთა უნივერსიტეტმა იმისთვის, რომ მე ეს ჩავწერო?
>
> პროფესორი

> კიდევ გთხოვენ რეზიუმე გაუგზავნო, ტვინი უნდა იმტვრიო იმაზე, რომ ცალკე ერთგვერდიანი შეუქმნა, რამდენი რა გააკეთე. გავიგე, რისთვისაც სჭირდებათ ეს, მაგრამ მაშინ... შექმენი რაღაცა იმისთვის, რომ მარტო ლექცია კი არ წააკითხო იმას, ვინც დაინტერესებულია, კვლევაც ჩაატაროს. სტუდენტებთან ერთად კვლევის მეთოდებს ვასწავლი, ხო? ხო შეიძლება ამ ბავშვებს რაღაცა ორი კაპიკი რომ გამოუყონ ხო იმისათვის, რომ ფურცლები მაინც იყიდონ, რომ კითხვარები დაბეჭდონ. თუ შენ ჯიბის ფული გაქვს და ხანდახან გვაქვს ხოლმე, ჩვენ თვითონ, იმისთვის, რომ ბავშვები წავახალისოთ და ვასწავლოთ, ამას შენ აკეთებ... ხოდა ეს პრობლემა არის დღემდე, არ ვიცი, თქვენთან როგორ არის, მაგრამ ჩვენთან არის.
>
> დაცული

კიდევ ერთი ამოცანა, რომელიც რესპონდენტებმა დისკუსიისას ისაუბრეს, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლისა და კვლევის პროცესების **ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაუმჯობესებაა.**

> უნივერსიტეტში არის ამდენი ფაკულტეტი, სადაც გაერთიანებულია ამდენი მიმართულება, როგორიცაა გეოგრაფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები - ამათ ყავს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი. ეს სერიოზული პრობლემა არის. მას ეხება ყველა შინაარსობრივი და ტექნიკური საკითხი! რამე თუ გინდა, მასთან უნდა მიხვიდე.
>
> პროფესორი
>
> ერთი ადამიანი უვლის სადღაც 200 სტუდენტს, საბუთები, ყველაფერი მას აბარია, და ღმერთმა დაიფაროს, რომ რამე მოუვიდეს, ისეთი ქაოსი იქნება უნივერსიტეტში, რომ არ ვიცი.... ალბათ უფრო პატარა ჯგუფებად უნდა იყოს დაყოფილი, არ ვიცი, 20-30 კაციანი... ერთ ადამიანს ყველაფერი არ უნდა ებაროს.
>
> დოქტორანტი

ამონაგები (შედეგი)

სადოქტორო ნაშრომების ხარისხი

თუკი მონაწილეები გაცილებით დეტალურად საუბრობდნენ რესურსებისა და პროცესების ხარვეზებზე, სადოქტორო საფეხურზე კვლევითი მუშაობის შედეგების თაობაზე საუბრისას ისინი მხოლოდ ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლებოდნენ.

> შემოღების შემდეგ პოლიტიკის მეცნიერებებზე დაცული აქვს მხოლოდ სამ დოქტორანტს, დანარჩენი დაცვის პროცესშია, მაგრამ რომ გითხრათ, რომ ამ მხრივ შთამბეჭდავი სურათი არა გვაქვს, სულ გვყავს ეხლა 44 დოქტორანტი პოლიტიკის მეცნიერებებზე. აქაც პერსპექტივა საკმაოდ დაბალია, რომ დათქმულ ვადებში მოესწროს და იყოს მისაღები ანუ ხარისხის შესაბამისი ნაშრომის წარმოდგენის ალბათობა.

რესპონდენტების ნაწილის მოსაზრებებით, **სადოქტორო ნაშრომების ხარისხი საქართველოში უმეტესად დაბალია, ასევე ნაკლებად კონსტრუქციურლად მიმდინარეობს კოლეგიალური შეფასება,** ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებული პროცედურები არ იძლევა რეცენზენტის შენიშვნების ნაშრომში გათვალისწინების შესაძლებლობას.

კვლევის შედეგების თანახმად, **ცალკეულ უნივერსიტეტებში ამ მხრივ პროცედურები და პრაქტიკა უკეთესობისკენ იცვლება, თუმცა ძირითადად შუალედური და საბოლოო დაცვის პროცესები ფორმალურად მიმდინარეობს.**

კარიერული წინსვლის პერსპექტივები

ყოფილი და მოქმედი დოქტორანტების უმეტესობა საკუთარ თავს, პირველ რიგში, ლექტორად ხედავს. რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი უკავშირებს სამომავლო გეგმებს სამეცნიერო საქმიანობას.

> ამ წუთას რასაც ველი, არის ის, რომ ვარ ჩამოყალიბებული ლექტორი. დანარჩენი მერე აღარ ვიცი. მარტო სწავლების კუთხით შემიძლია პასუხი გაგცეთ
>
> ყოფილი დოქტორანტი

ამ ტენდენციას საუბრისას პროფესორებიც ადასტურებენ

> ნებისმიერი სპეციალობისათვის, რომ დოქტორანტი იყოს უპირველეს ყოვლისა მკვლევარი და შემდეგ ჩამოყალიბდეს მეცნიერად არა? მაგრამ ამისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები. მე ვიტყოდი ახლა არქივებში მუშაობენ ჩვენი სპეციალობიდან გამომდინარე. მე არქივში ვმუშაობდი, აი ცენტრალური არქივი რომ არის, იშვიათად თუ ნახავ ვინმე ახალგაზრდას.
>
> პროფესორი

რესპონდენტებთან დისკუსიისას ამ პრობლემის რამდენიმე საინტერესო დეტალი გამოიკვეთა.

პირველ რიგში, მათი აზრით, შექმნილ ვითარებას განაპირობებს ის, რომ არ არსებობს დოქტორანტურის შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობები

> უნივერსიტეტები არ არიან ორიენტირებული იმაზე, რომ მიიღონ ახალი კადრი, ან ჰქონდეთ კარიერული განვითარების გზა, რომლის კვალობაზედაც ახალგაზრდა წავა წინ career path არ არსებობს
>
> პროფესორი

ხშირ შემთხვევებში არ არსებობს შედარებით მდგრადი, გრძელვადიანი კვლევითი პროექტები/ინტერესები.

> სულ მცირე, მე მაინც მითხრან, რომ რაღაცა მაინც ვიკვლიო თქვენთან ერთად, გავაგრძელოთ და ასე შემდეგ. აქ გავაჩეროთ ეს ყველაფერი? აი, ეს შეკითხვა მაქვს.
>
> ყოფილი დოქტორანტი

ცალკეულ შემთხვევებში რესპონდენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურებითა და კრიტერიუმებით, რაც აფერხებს აკადემიური პერსონალის ახალი კადრებით გამდიდრების შესაძლებლობას.

> მიუხედავად იმისა რომ X,Y,Z წელს გამოაქვეყნა პირობითად ვამბობ ორ იმპაკტფაქტორიან ჟურნალში სტატია და ყავს პროფესორი რომელსაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ერთი სტატიაც არ დაუწერია, რატომღაც იმას ტოვებენ პროფესორად და იმას ასისტენტობიდან ასოცირებულ პროფესორადაც არ უშვებენ.
>
> ყოფილი დოქტორანტი

> ეს არის კრიტერიუმების არარსებობა, რომლის კვალობაზედაც უნდა მოხდეს აკადემიური პერსონალის წახალისება, დაწინაურება და ასე შემდეგ, ამ კრიტერიუმების არარსებობის კვალობაზე ჩვენ აღმოვჩნდით ისეთ სიტუაციაში, როდესაც იერარქიით პროფესორებს, რომლებსაც კვლევაში უკვე დიდიხანია არაფერი გაუკეთებიათ მიჰყავთ, იღებენ გადაწყვეტილებას იმათ ნაცვლად, ვინც ფაქტობრივად თანამედროვე კვლევაში არიან ჩართულნი და ბლოკავენ მათ განვითარებას.
>
> პროფესორი

რესპონდენტების აზრით, ახალგაზრდა კადრების მეცნიერებაში მოზიდვა და შენარჩუნება საქართველოში მეცნიერების განვითარების მნიშნელოვანი წინაპირობაა, რაც შესაბამის პოლიტიკაში უნდა აისახოს როგორც უნივერსიტეტის, ისევე ზოგადად განათლების პოლიტიკის დონეზე.

> საერთოდ თუ არ გაძლიერდა მეცნიერებაზე ფიქრი ჩვენს ქვეყანაში მერე არავის აღარ უნდა... ვთქვათ დაიცვა ჩემმა დოქტორანტმა ძალიან კარგი დისერტაცია, მუშაობს ჯეოსელის ოფისში და აქვს ჩემზე ორჯერ მეტი ხელფასი და რატომ მოვა უნივერსიტეტში?
>
> პროფესორი

> საქართველოში რა ფორმით ხდება ადამიანი დოქტორანტურის სტუდენტი და მეცნიერი, არ არის ამის არც ინსტიტუციური მხარდაჭერა, არც ფინანსური მხარდაჭერა, არც აკადემიური მხარდაჭერა
>
> დოქტორანტი

დისერტაციების რეცენზირების შედეგები

დისერტაციების შეფასებისას, რეცენზენტებმა გამოიყენეს შეფასების კრიტერიუმები შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

1. დისერტაციის ორგანიზაციული მხარე
2. მიზნები და თეორიული ჩარჩო
3. კვლევის მეთოდოლოგია
4. ანალიზი და შედეგები
5. კვლევის ეთიკა.

პრობლემები, რაც დისერტაციებში გამოჩნდა ამ მიმართულებების მიხედვით შემდეგია:

ნაშრომის ორგანიზება

დისერტაციების უმეტესობას, ჰქონდა სტრუქტურული პრობლემები. ტექსტის მიმდინარეობა შეფასებული იყო, როგორც ხშირად არალოგიკურ. არარელევანტური დისკუსიები ან თემები, რომლებიც არ უკავშირდებოდა ძირითადი თემის განვითარებას ხშირად შემოდიოდა

მსჯელობის ძირითად ტექსტში მოულოდნელად. ტექსტის ხარისხი შეფასდა როგორც ძალიან დაბალი. ხშირად მას აკლდა შეცდომების გასწორება. მართალია დისერტაციებს ახლდა ინგლისური რეზიუმეები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი რეცენზენტების შეფასებით უბრალოდ გაუგებარ ტექსტებს შეიცავდა.

კვლევის მიზნები და თეორიული ჩარჩო

სპეციფიკურად შემუშავებული თეორიული ჩარჩო ვერცერთ განხილულ დისერტაციაში ვერ მოიძებნა. ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილი ხშირად უბრალოდ ჩამონათვალია ნაშრომების, რომლებიც კონკრეტულ თემაზე დაიწერა. ზოგჯერ არის მცირე განმარტებებიც, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის ნაშრომი. პრობლემა კი ის არის, რომ სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა არ გამოიყენება თეორიული ჩარჩოს გასავითარებლად.

ზოგიერთ დისერტაციას უფრო ნორმატიული მიზნები აქვს. ამ შემთხვევაში დისერტაციის მიზანი უფრო მეტად რაიმე საზოგადოებრივი მიზნის მიღწევისთვის შესაძლებლობების განვითარებაა, ვიდრე შედარებით ნეიტრალური კვლევითი მიზნები იქნებოდა.

კვლევის მეთოდოლოგია

დისერტაციებს აკლია მკაფიოდ ჩამოყალიბებული გამოკვლევადი მიზნები. ზოგიერთი მათგანი აღწერილობითი ე.წ. desk research ტიპის კვლევაა. ზოგიერთი მათგანი, მართალია თავად ტექსტში აღწერს, რომ ეყრდნობა ემპირიულ მონაცემებს, მაგრამ წმინდა თეორიულ მსჯელობებზეა დაფუძნებული.

პრობლემებია თავად მეთოდების აღწერის ხარისხში. გვაქვს შეცდომები, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ კვლევის კომპეტენციები საკმაოდ დაბალია. მაგალითად, გამოკითხვა დისერტაციაში გაიგივებულია დისერტაციასთან. პრობლემების სიღრმე ჩანს იმ ფაქტშიც, რომ დისერტაციების უმეტესობას უჭირს თანამედროვე, ხარისხიანი ლიტერატურის დასახელება, რომელიც გამოყენებული მეთოდის სამეცნიერო ღირებულებას ახსნიდა. უმეტესი დისერტაციები კვლევის მეთოდების სახელმძღვანელოებად საბჭოთა დროინდელ ლიტერატურას ასახელებენ.

ანალიზი და შედეგები

რეცენზენტებმა დისერტაციების ტექსტები შეაფასეს, როგორც ნაშრომები, რომლებსაც აკლია მნიშვნელოვანი დასკვნითი ნაწილი. ხშირად მსჯელობა შუა გზაში წყდება ისე, რომ არც დასკვნა და რაიმე სახის შეჯამებაა. დასკვნების არსებობის შემთხვევაში მათ აკლიათ რაიმე მნიშვნელოვანი ემპირიული მტკიცებულებები. ზოგიერთი დისერტაცია წარმოადგენს მხოლოდ ისტორიულ მიმოხილვას, რომელსაც რაიმე აზრობრივი შეჯამება არ აქვს.

ანალიზის ნაცვლად, ჩვენ დისერტაციების ნაწილში ვხედავთ მონაცემების გრაფიკებს. ეს მონაცემები თითქმის არასოდეს არის განხილული ავტორის მიერ. მკითხველი თავად უნდა მიხვდეს თუ რა იგულისხმება მათ მიღმა, ან რა დასკვნების გამოტანა არის შესაძლებელი. აკლია ნარატივი და დისკუსიის ნაწილი.

ანალიზის ნაწილი ხშირად თავად მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების ჩამონათვალით ან აღწერით არის შევსებული მათი დანართებში განთავსების ნაცვლად.

კვლევის ეთიკა

კვლევის ეთიკური პრობლემების შესახებ და მათი თავიდან აცილების სტრატეგიების შესახებ დისერტაციების ტექსტები არ საუბრობს. თავად დისერტანტების მიერ ეთიკა ყოველთვის დაცული არ არის. მაგალითად აკლია ციტირებები, როდესაც ზოგ შემთხვევაში გაუგებარი იყო რეცენზენტებისთვის, თავად დისერტანტის დასკვნებს კითხულობდნენ თუ რაიმე სხვა ნაშრომის შედეგების შესახებ. ციტირების პრობლემები ზოგჯერ ტექნიკურია (მაგ. შეიძლება აკლდეს პუბლიკაციის წლებიც)

ზოგადი პრობლემები

რეცენზენტებმა ყურადღება გაამახვილეს დისერტაციების მოცულობებზეც. ზოგ შემთხვევაში სადოქტორო საფეხურისთვის დისერტაციები ზედმეტად მოკლედ იქნა მიჩნეული დასავლური (აშშ და დიდი ბრიტანეთი) სტანდარტების შესაბამისად. დისერტაციების ნაწილი, რომელთა შეფასებაც მიმდინარეობდა 20-25 ათას სიტყვას წარმოადგენდა.

დისერტაციების ნაწილი ზოგიერთ უნივერსიტეტში ადვილად ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან არ იყო განთავსებული ელექტრონულად უნივერსიტეტების ვებ გვერდებზე. ამ უნივერსიტეტის პროფესორებში და დოქტორანტებში ზოგ შემთხვევაში სერიოზული წინააღმდეგობა იყო ელექტრონული სახით ნაშრომის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით. მიზეზად ნაშრომის პლაგიატის მიზნით გამოყენების საშიშროებას ასახელებლდნენ.

დასკვნა

კვლევის მიზანი იყო სოციალურ მეცნიერებებში სადოქტორო საფეხურზე არსებული მდგომარეობის ანალიზი. შენატანის (რესურსების), პროცესის და შედეგების გაანალიზებისას გამოვლინდა როგორც მიღწევების, ისე პრობლემების მთელი რიგი, რომელთა გადასაწყვეტად ორმხრივი ძალისხმევა იქნება საჭირო: უნივერსიტეტების და სახელმწიფოსი. ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს კველვისა და სწავლების დაკავშირება, კვლევითი ინტერესების მქონე ახალგაზრდების მოზიდვა აკადემიურ სივრცეში, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვისთვის პირველი ნაბიჯების გადადგმა, რაც განსაკუთრებული პრობლემა იყო სოციალურ მეცნიერებებში. პრობლემები, რომლებიც აკადემიური და ფინანსური რესურსებიდან მომდინრეობს და შემდეგ როგორც პროცესზე, ისე შედეგებზე აისახება, ვერ გადაიჭრება ერთი ხელის მოსმით, მაგრამ ამ მიმართულებით სისტემური ნაბიჯებია აუცილებელი. მნიშვნელოვანია, რომ განვითარების, სიტუაციის გამოსწორების საჭიროებას აკადემიური სივრცე აუცილებლად მიიჩნევს და მზად არის ცვლილებებისთის. კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი სივრცისადმი, საკუთარი საქმიანობისადმი კარგი საფუძველია განვითარებისთვის. სადოქტორო სწავლების ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა

როგორც ქვემოდან ზემოთ ინიციატივების ხელშეწყობა, ისე სახელმწიფოს მიერ ხელისშემშლელი ბარიერების მოხსნა და ხელშეწყობის ინსტრუმენტების დანერგვა.

უნივერსიტეტების წარმომადგენლები საჭიროდ მიიჩნევენ საერთო სივრცის ჩამოყალიბებას, სადაც გაიმართება დისკუსიები და შესაძლებელი იქნება გამოცდილების გაზიარება, ხელს შეუწყობს როგორც ხარისხის კულტურის დანერგვას, ისე იმგვარი რეკომენდაციების შემუშავებას, რომელსაც უსდ-ები თავსმოხევულად არ ჩათვლიან.

დისკუსიებიდან და ინტერვიუებიდან გამომდინარე ასევე აუცილებელია იმგვარი ვირტუალური სივრცის არსებობა, სადაც ერთად იქნება თავმოყრილი დისერტაციები. ეს ხელს შეუწყობს როგორც ცოდნის გაცვლას, თანამშრომლობას, ისე ქსელურობის განვითარებას, კოლეგების მიერ ერთმანეთის რეცენზირების კულტურას.

დისკუსიების დროს ასევე გამომჟღავნდა კონკრეტული პრობლემური წესები, რეგულაციები, რომელთა შესახებ მსჯელობა აუცილებლად მიაჩნიათ. ამგვარია, მაგალითად, 2010 წლის 10-ბრძანების შეცვლა, რომელიც მობილობას არეგულირებს. ამ წესის მიხედვით სხვა უნივერსიტეტში კრედიტის ასაღებად აუცილებელია იმ უსდ-დან ამორიცხვა, რომლის სტუდენტიც არის დოქტორანტი და ახალში ჩარიცხვა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ხელშეკრულებებს და თანამშრომლობას უსდ-ებს შორის, რომ ორ ან რამდენიმე აკრედიტებულ პროგრამას გაცვლის შესაძლებლობა ჰქონდეს. მწირი რესურსების გათვალისწინებით ამგავრი მოქნილობა ძალიან მნიშვნელოვანია. სადოქტორო საფეხურის აკადემიურ პერსონალი და სტუდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭეებენ თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიზნით შეიძლება შემუშავდეს მოდელი, რომელიც გრანტების მეშვეობით წაახალისებს ქსელურობას

ერთ-ერთი რეკომენდაცია ასევე იქნებოდა, Graduate course-ების შემოღება, რაც ფართოდაა დანერგილი ევროპულ და ამერიკულ უსდ-ებში. ამ პრინციპის ამოქმედების შედეგად უსდ-ებს ექნებოდათ შესაძლებლობა, უფრო ეფექტურად გამოეყენებინათ საკუთარი მწირი აკადემიური რესურსი.

კვლევითი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ყველა ამ რეკომენდაციის თაობაზე აუცილებელია მსჯელობა და ჩართულ უსდ-ს შორის კონსენსუსის მიღწევა. ამგვარი მიდგომით დაინერგება ხარისხის კულტურა. საერთო სივრცეში ჩართულ უნივერსიტეტებს კი არ ექნებათ განცდა, რომ მოდელი თავსმოხვეულია და ამა თუ იმ სქემის მნიშვნელობაც უკეთ ექნებათ გააზრებული.